# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

10 მარტი
ხუთშაბათი
2022 წელი
№10 (9220)
ფასი 40 თეთრი


### ვგმობთ უკრაინის ოკუპაციას

## სამხარეო ადმინისტრაციის მხარდაჭერა უკრაინელ ძმებს!



**სამცხე-ჯავახეთის** სამხარეო ადმინისტრაციის ორგანიზებით უკრაინის დასახმარებლად ჰუმანიტარული აქცია დაიწყო.

სახელმწიფო რწმუნებული **ბესიკ ამირანაშვილი,** სამხარეო ადმინისტრაციისა და რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებთან ერთად უერთდება საქართველოს მთავრობის ინიციატივას და უკრაინელი ხალხის დასახმარებლად ორგანიზებას გაუწევს ჰუმანიტარული ტვირთის მობილიზებას.

ჰუმანიტარული დახმარების გაწევის მიზნით, რეგიონის ექვსივე მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოფა თანხა, რომლითაც შეძენილი იქნება საკვები პროდუქტები, პირველადი მოხმარების ნივთები, სამედიცინო დანიშნულების საგნები და მედიკამენტები.

ჰუმანიტარული ტვირთის შეგროვება ხდება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში შემავალ ექვსივე მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში.

ჰუმანიტარული ტვირთის ტრანსპორტირება განხორციელდება საქართველოს მთავრობის დახმარებით.

## ბორჯომის მოსახლეობა თქვენს გვერდითაა!

**ბორჯომის** მუნიციპალიტეტი ბორჯომთან დამეგობრებული უკრაინული ქალაქ პოლტავისთვის ჰუმანიტარული დახმარებას გაწევას იწყებს. დღეს უკრაინა და ქალაქი პოლტავა განსაცდელის წინაშე დგანან და მათ ჩვენი დახმარება ესაჭიროებათ.

ბორჯომის მერიას აქტიური კომუნიკაცია აქვს ამ ქალაქების წარმომადგენლებთან და ჰუმანიტარული აქციაც მათი საჭიროებების მიხედვით იგეგმება.



ქალაქის მერია ჰუმანიტარულ აქციას 7 მარტიდან იწყებს. მეგობარი უკრაინული ქალაქები დასახმარებლად სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები გათვალისწინებული იქნება უკრაინელი ხალხისთვის პირველადი მოხმარების აუცილებელი ნივთების შესაძენად.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია აქციაში ჩართვისკენ მოუწოდებს სამოქალაქო საზოგადოებას, ბიზნესს, ყველა რიგით ბორჯომელს. ჰუმანიტარული ტვირთის ტრანსპორტირებას ქალაქის მერია საქართველოს მთავრობის დახმარებით უზრუნველყოფს.

აქციაში ჩართვის მსურველებმა ინფორმაციისთვის უნდა დარეკონ მერიის საინფორმაციო ნომერზე - 0367 22 44 99

**7 მარტიდან,** ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შექმნილი შტაბი უკრაინაში გასაგზავნი მედიკამენტების, სამედიცინო ინვენტარის, პირველადი დახმარების საგნების, ტანსაცმლის და არამალფუჭებადი საკვების შეგროვებას იწყებს.

საგანგებო შტაბის მისამართია: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა.

მესხეთის №5. საკონტაქტო: 0367 223 355

## უკრაინის ომი საქართველოს საექსპორტო პოტენციალზე მნიშვნელოვნად აისახება

**რუსეთ-უკრაინის** შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში, საქართველოს ეკონომიკის მინისტრის **ლევან დავითაშვილის** თქმით, ექსპორტში წიაღისეულისა და მინერალების მიმართულებით დივერსიფიცირება შედარებით მარტივი იქნება, სოფლის მეურნეობის პროდუქციაში კი რუსეთისა და უკრაინის ბაზრების ჩანაცვლება, რიგი მიზეზების გამო, უფრო გაჭირდება. მთავრობა კი თავის მხრივ ზიანის მაქსიმალურად შემცირებას ეცდება.

2021 წელს საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვამ რუსეთთან და უკრაინასთან ჯამში 2.398 მლრდი დოლარი შეადგინა - მთლიანი ბრუნვის 16.7%. უარყოფითმა სავაჭრო სალდომ ამ ორ ქვეყანასთან ჯამში 4564 მლნ შეადგინა. 2021 წლის მდგომარეობით, რუსეთი საქართველოს №2 სავაჭრო პარტნიორი იყო. ბრუნვამ 1.639 მლრდ დოლარი შეადგინა, რაც ჯამური ბრუნვის 11.4%-ა. რუსეთი მეორე ადგილზე იყო ცალკე აღებულ ექსპორტშიც, სადაც მან 610 მლნ დოლარით 14.4-%იანი წილი დაიკავა, ხოლო იმპორტში 1.029 მლრდ-ითა და 10.2%-იანი წილით, ასევე მეორე ადგილზე გავიდა. საქართველოდან რუსეთში ძირითადად გადის ფეროშენადნობი - 172 მლნ დოლარი, ღვინო - 132 მლნ დოლარი, მინერალური წყლები - 61 მლნ დოლარი, სპირტიანი სასმელები - 41 მლნ დოლარი და ხილი - 27 მლნ დოლარი. საიმპორტო პროდუქციაში ნავთობი, გაზი, ხორბალი და ზეთი ლიდერობს. უკრაინა 759 მლნ დოლარით (ჯამური ბრუნვის 5.3%) სავაჭრო პარტნიორებში 2021 წელს მე-6 ადგილზე გავიდა. ექსპორტმა გასულ წელს უკრაინაში 307 მლნ დოლარი შეადგინა, რითაც მან 7.2%-იანი წილით მე-5 ადგილი დაიკავა, ხოლო იმპორტმა 452 მლნ დოლარი და ამ შედეგით ის 4.5%-იანი წილით მე-7 ადგილზე გავიდა.

## დევნილთა საკითხთა მინისტრის მინიმი აშენდება

- დევნილთა საკითხების შემსწავლელმა კომისიამ ბორჯომში, ყოფილი სანატორიუმების „ლიკანისა“ და „ბორჯომის“ შენობებში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხი განიხილა.
- კომისიის გადაწყვეტილებით, სანატორიუმებში ფაქტობრივად მცხოვრებ დევნილ ოჯახებს უპირობო განსახლებაზე თანხმობა ეთქვათ.
- სააგენტოს დირექტორი **ჯაბა სირბილაძე** და დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის წევრები ინდივიდუალურად შეხვდებიან დევნილებს, რომლებსაც გარკვეული შეკითხვები გააჩნიათ. იძულებით გადაადგილებული პირების მიღება ბორჯომში (წმინდა ნინოს ქ. №1, სამუსიკო სკოლის შენობა) 7 მარტს, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე გაიმართება.
- დევნილთა სააგენტოს უკვე გადმოეცა მიწის ნაკვეთი ქალაქ ბორჯომში, სადაც იძულებით გადაადგილებული ოჯახებისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კორპუსი აშენდება.
- დევნილი ოჯახები უპირობოდ განსახლდებიან.

## სახუქრები დედის დღესთან დაკავშირებით




**ბორჯომის** მუნიციპალიტეტმა დედის დღესთან დაკავშირებით, 101 მრავალშვილიან ოჯახს, რომელსაც ჰყავს ოთხი და მეტი შვილი საჩუქრად 150 ლარი გადასცა.

აღსანიშნავია, რომ სოციალური პროგრამა მუნიციპალიტეტის მასშტაბით, რამდენიმე წელია მოქმედებს. მისი მიზანი მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური და მორალური მხარდაჭერა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაა.

უნდა აღინიშნოს, ისიც რომ მუნიციპალიტეტი 4 და მეტშვილიან ოჯახებს ყოველთვიურად ეხმარება ფულადი თანხით, წელიწადში ერთხელ ფინანსდებიან სტაცონარული პროგარმით, ასევე ახალიწლისა და აღდგომის დღესასწაულზე სარგებლობენ დახმარებით. მათ აქვთ ასევე შეღავათები როგორც ელექტრო ენერგიის ასევე ბუნებრივი აირის გადასახადზე. ოჯახის წევრებისათვის უფასოა ასევე მგზავრობა მუნიციპალური ტრანსპორტით.

## აღინიშნა დედის დღე



**დედის** დღესთან დაკავშირებით, ბორჯომის მუნიციპალიტეტის წაღვერის საქალაქო კულტურის სახლის ორგანიზებით, ღონისძიება გაიმართა.

დედის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას ესწრებოდა წაღვერის თემში მცხოვრები 22 მრავალშვილიანი დედა.

ღონისძიების დასასრულს მრავალშვილიან დედებს მადლიერების სიგელი და საჩუქრები გადასცა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა,** საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა,** მერის მოადგილემ **იოსებ რაზმაძემ** და კულტურის განყოფილების ხელმძღვანელმა **მარინა ხუჯაძემ.**

## სტუდენტებს წარმატებულ სწავლას ვუსურვებთ

**„ბორჯომის** მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „ახალგაზრდობის ხელშეწყობის“ ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და ფულადი ჯილდოს გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2021 წლის 24 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილება შეიტანა.

ამიერიდან დადგენილების სათაური ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის ახალგაზრდობის ხელშეწყობა დახმარების ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და ფულადი ჯილდოს გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.

დადგენილება ითვალისწინებს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმატებულ სტუდენტებზე ფულადი ჯილდოს გაცემის პირობებსა და წესს.

დაფინანსება ხორციელდება ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის (კულტურის, ხელოვნების, ერუდიციის, განათლების და სპორტის სფეროში - წარმატებული ახალგაზრდების ხელშეწყობა/დახმარება მაღალი მოსწრების სტუდენტების (ბაკალავრი) წახალისება/დაჯილდოება) ფარგლებში.

ფულადი ჯილდოები გაიცემა წარმატებულ სტუდენტებზე, რომლებიც სწავლობენ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ახორციელებენ სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს. ასეთები საქართველოში სულ არის 27 უნივერსიტეტი.

სასწავლო უნივერსიტეტი: საქართველოს ტერიტორიაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს (გარდა დოქტორანტურისა), კერძოდ: სასწავლო უნივერსიტეტების წარჩინებულ სტუდენტებზე, ასეთია სულ 21 უნივერსიტეტი.

ჯილდოს გაცემის ადმინისტრირებას ახორციელებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახური. მეორადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განყოფილება, სტუდენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და ამ წესით დადგენილი პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

## არ შეშინდე უკრაინა!

**ფეხზე დადექ, უკრაინა,**
**დრო დაგიდგა ძალზედ რთული:**
**ციდან მოდის ტყვიის წვიმა,**
**ამოგკორტნა სვავმა გული.**
**ისევ-ისევ აბობოქრდა,**
**ჩრდილოეთის თეთრი დათვი,**
**მიწა შეძრა ძმათა ომმა,**
**ცეცხლს დაასხა მტერმა ნავთი.**
**არავის ინდობს ოკუპანტი**
**და მეზობელს ესვრის ტყვიას,**
**ბავშვებს ხოცავს მისი ტანკი,**
**ჩექმით სრესავს ვარდს და იას.**
**მსოფლიოც კი ვერ აჩერებს**
**ამ ცოფიან ველურ ტომსა,**
**ეს ხომ უკვე ფაშიზმია,**
**ვინ გაბედავს სხვა დღეს ომსა!**
**თუმცა ომში ის იმარჯვებს,**
**ვის მხარეზეც სიმართლეა,**
**ვინც საკუთარ მიწას იცავს**
**ის ყოველთვის მძლეთა-მძლეა!**
**არ შეშინდე უკრაინა,**
**გასატანი დღეს გაქვს ღელო,**
**დღეს მსოფლიო შენთანაა,**
**შენთანაა, საქართველო!**

**ჯემალ ბიბილური.**

რაიონის ორგანიზაცია-დაწესებულებებში

# როცა მგზავრები კმაყოფილები არიან...

**ასე მგონია,** ერთი **სოციალისტური** „ყაიდის“ ორგანიზაცია-დაწესებულება კიდევ შემორჩა ბორჯომს და საქართველოს! **ეს არის „აიპი „ბორჯომის“ საზოგადოებრივი ტრანსპორტი.** რას ვგულისხმობ? - **აქ მუშაობენ დევიზით: „ყველაფერი ხალხის სასიკეთოდ!“** ათ წელზე მეტია ბორჯომის შიდა-საქალაქო ავტობუსებით მგზავრობა 20 თეთრი ღირს! **საქართველოს ქალაქებში ასეთი იაფი მგზავრობა არსად არაა!** მიზერულია მგზავრობის ღირებულება, ბორჯომიდან ბაკურიანამდე მგზავრობა ღირს 1,50 ლარი, ტაძრისამდე - 70 თეთრი, ტიმოთესუბნამდე და სადგერიტბა-ცემამდე - 50 თეთრი. 20 თეთრი ღირს მგზავრობა ყვიბისამდე, კორტანეთამდე და ლიკნამდეც. მართალია, ე.წ. „საზოგადოებრივი ტრანსპორტის“ შენახვა რაიონის ბიუჯეტს მილიონ ლარამდე უჯდება, მაგრამ რაიონში მცხოვრები, ამას დამატებული დამსვენებლები, დაახლოებით **10 ათასამდე მგზავრი რომ კმაყოფილია, ეს ცოტას არ ნიშნავს!** სხვას ყველაფერს რომ ცეცხლი უკიდია და ყველაფერი რომ თანდათანობით ძვირდება: პროდუქტები, მედიკამენტები, საწვავი, გადასახადები, ამის ფონზე საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგავრპბა არ ძვირდება და ჩვენი მოქალაქეები მაინც ამ მხრივ დაწყნარებულები არიან.

2017 წლის დეკემბერში, როდესაც ამ საწარმოს დირექტორად „მივიდა“ ბატონი **დიმიტრი (დიტო) ყიფიანი,** საწარმოში ფასები უკვე „რეფორმირებული“ დახვდა. მან ბატონი **დავით ზაალიშვილი** შეცვალა და სწორედ ბატონმა დიტომ თავის თანამოქალაქეებთან ერთად გაატარა ეს რეფორმა.

5 წლის წინაც მოძრაობდნენ ქალაქში მწვანე ავტობუსები. დიტოს მისვლის შემდეგ კი კიდევ 5 ახალი ავტობუსი შეიძინეს. (ერთი ავტობუსი საკმაოდ ძვირი ღირს - 200-დან 300 ათასამდე). ახლა არდაგანის სვლა-გეზზე მოძრაობს 2 ავტობუსი, ყვიბისზე ასევე - 2, კორტანეთზე და ლიკანზე - თითო-თითო. ასევე თითო-თითო მოძრაობს (დღეში რამდენჯერმე) ბაკურიანამდე, ტაძრისამდე, ცემამდე და ტიმოთესუბნამდე.

დილის 8 საათიდან მუშაობას იწყებენ ავტობუსები.

ბაკურიანში ავტობუსი დილით 9-ის ნეხევარზე მიემართება, იქიდან 10 სთ-სა და 45 წთ-ზე ბრუნდება, შემდეგ საღამოს 5-ის ნახევარზე კიდევ მიდის ბაკურიანში, იქიდან კი შვიდის ათ წუთზე (6[10]) გამოდის.

ადრე შაბათობით ქალაქში არ მოძრაობდნენ ავტობუსები, ახლა ყველა სვლაგეზზე მოძრაობს. **მოსახლეობის მოთხოვნაა კვირაობითაც იმოძრაოს!** („მადა ჭამაში მოდის!“). ბატონმა დიტომ თქვა, რომ კვირა დღე გამოყოფილია ავტობუსების შეკეთებისთვის. ჰყავთ სამი ხელოსანი. **თუ ერთ ავტობუსს დამატებით შევიძენთ, ეს პრობლემაც მოგვარდებაო!**

ახალდაბის მოსახლეობა ითხოვს კორტანეთამდე დანიშნული ავტობუსი ბარემ ახალდაბამდე ჩამოვიდესო. **საწარმოს დირექტორმა მითხრა, რომ ახალი ავტობუსის შეძენა ამ საკითხსაც მოაგვარებს!** ტაძრისელებიც ითხოვენ მეორე ავტობუსს. ერთი ავტობუსი ხალხს არ ყოფნისო. ავტობუსი თუ არა, ერთი მიკროავტობუსიც (ავტობუსის ფასით!) ალბათ ამ საკითხს მოაგვარებდა. ერთი მიკროავტობუსი „ჩარხისწყალი-ახალი უბანი“ უკვე ჰყავს საწარმოს, სადაც მგზავრობა 20 თეთრი ღირს.

ქალაქის მოძრავ ავტობუსებს ყოველდღიური გეგმა აქვთ დაწესებული (50-55 ლარამდე. წლიური მთლიანი გეგმა 160 ათასი ლარია). ორი წელია კოვიდპანდემიამ ძირს დასცა გეგმის შესრულება.

საწარმოს ჰყავს სამი კონტროლიორი, რომლებიც თვეში 2-3-ჯერ აკონტროლებენ გეგმის შესრულების დღიურ მაცვენებელს და აგრეთვე მგზავრებისგან ფულის გდახდას. ბატონმა დიტომ თქვა, რომ შეიძლება წელსვე დანერგონ ავტობუსებში მგზავრობის ღირებულების გადახდის საბარათო სისტემა.

მგზავრებს ემსახურება 24 მძღოლი. მათ შრის არიან ვეტერანებიც.

ცნობილ;ია ბორჯომელ მძღოლთა თავაზიანობა. ამის შესახებ სამადლობელო წერილები თუ სატელეფონო ზარები ხშირია როგორც სოცქსელებში, ასევე მერიაში თუ რედაქციაში.

მძღოლები ხელფასით კმაყოფილები არიან (თავაზიანობა ამანაც იცის), წლის ბოლოს ზოგჯერ გაიცემა პრემიებიც.

ხალხის სასიკეთოდ „მოღვაწეობას“ კვლავაც გააგრძელებს „აიპი ბორჯომის საზოგადოებრივი ტრანსპორტის“ 60-კაციანი კოლექტივი...



**სურათზე:** მარცხნიდან მარჯვნივ: დირექტორი - **დიმიტრი ყიფიანი**, მოწინავე მძღოლები: **ლევან ხოტივრიშვილი, მერაბ კიკნაძე, ლევან ბლიაძე, ჯემალ გოჩაშვილი, ოთარ პაპიძე.**

**უჩა არაგვისპირელი.**

გულახდილი დიალოგი

# კითხვები ბატონ უშანგი (უჩა) ჯანგირაშვილს!



**ბატონო უშანგი, ძალიან მინდოდა თქვენთან მქონოდა ინტელექტუალური საუბარი. დიალოგი ბევრ საჭირბოროტო საკითხზე და იმედია, თქვენც დიდი სიამოვნებით გამცემთ პასუხებს. რატომ მაინცდამაინც თქვენ? ძირითადად, თქვენს კრიტიკულ წერილებში ჩანს თქვენი, როგორც ერთი პიროვნების, თვალსაზრისები, აზრები, პოლიტიკური სიმპათიები. წავიკითხავდი თუ არა, მაშინვე მიჩნდებოდა კითხვები, ან მქონდა სურვილი ბოლომდე ჩავძიებოდი თქვენი წერილების აზრს. ეს უკვე კარგია, როცა მკითხველს აინტერესებს ავტორის ინტერესები. ბევრი წერილისთვის გადამივლია თვალი და მქონია კატეგორიულად განსხვავებული პოზიცია და გაკვირვება. აქედან გამომდინარე, მე პატივს ვცემ თქვენს პოზიციებს, მაგრამ ნება მომეცით, ჩემი შეხედულებით დაგისვათ კითხვები**

**ჩემთვის, გარდა ჟურნალისტისა, პირველ რიგში ბრძანდებით ფილოლოგი, ლიტერატორი. ამას მაფიქრებინებს თქვენი პედაგოგიური გამოცდილება და თქვენი ავტორობით გამოცემული არაერთი წიგნი ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებებზე. გთხოვთ, გაიხსენოთ როგორი სულისკვეთებით უხსნიდით მოსწავლეებს ვაჟას „ბახტრიონს“, აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკს“, ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერ გოჩას“, ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებს“? რა არის დღემდე ეს დასახელებული ნაწარმოებები თქვენთვის - რა არის მათი სათქმელი? მიმიხვდით ალბათ, „რა ნესტარითაც ვართ ნაჩხვლეტი“, ხომ?**

**თქვენი აზრით, საიდან მოდის თავისუფლება ადამიანში? როდის არის ის თავისუფალი? თქვენი მოღვაწეობის პერიოდში, ყველაზე მეტად როდის გიგრძვნიათ თავი თავისუფლად, საკუთარი ნების მორჩილ ადამიანად? აქვე მახსენდება ალუდა ქეთელაური, ასევე, ზვიადაური - იყვნენ ისინი თავისუფალი გმირები? რატომ?**

**ხშირად შემხვედრია თქვენი მოსაზრება გაზეთში და გადაუკვეთავს მკვეთრად ჩემი აზრი. მიფიქრია: ნეტავ, ასე რატომ ფიქრობს ეს კაცი? ვგულისხმობ თქვენს კეთილგანწყობას საბჭოთა კავშირისადმი, ზოგადად, რუსეთისადმი. რა დაგრჩენიათ იმ ხანაში? გნებავთ კულტურული, ლიტერატურული ასპექტით და გნებავთ, პოლიტიკური? რა თქმა უნდა, მე ჩემზე ბევრად გამოცდილ, ჩემზე მეტად პროფესიონალ ადამიანს ვერ დავუწყებ - საქართველოს ისტორიის სწავლებას, ეს არც მიფიქრია, უბრალოდ რატომ არის ამდენად დაშორებული ამ კუთხით თქვენი ხედვა ჩემსას? (განსხვავებული აზრი საინტერეოა, როცა დასაბუთებულია).**

**შეგიძლიათ თქვენი დაკვირვებული თვალით დამისახელოთ ის მკაფიო ღირებულებები და ფასეულობები, ტრადიციები, რომელსაც ეს ახალი თაობა არ, ან ვერ აფასებს? რა დაიკარგა და რატომ? რაზე გწყდებათ ამ კუთხით გული? ამ პასუხში, თუ გნებავთ, შეადარეთ თქვენი დროის განათლების სისტემა და დღევანდელი. განათლება, როგორც ღირებულება, პატივისცემა უფროსის...**

**თქვენი წარმოდგენით, ბავშვობიდან დღემდე, რა იყო თქვენთვის რელიგია? რა როლს თამაშობს ის დღეს თქვენს ცხოვრებაშ? ან, იქნებ, ფიქრობთ, რომ ვიღაცის (ღმერთის) რომ გეშინოდეს - ეს ისევ ადამიანის მოგონილია, რომ შიში და კრძალვა ჰქონდეს ვინმესი (ღმერთის). ასეა? რაიმე ისეთს თუ გაიხსენებთ ბავშვობიდან, თუნდა აღდგომის რიტუალს...აკრძალულ დროს გიწევდათ ეს ყველაფერი და ოჯახში ვინმე მაინც თუ ზრუნავდა ამ კუთხით?**

**და ბოლოს, ჩვენი ქვეყნის მომავალს სად და როგორ ხედავთ? ამ დღემდე მოგვილწევია და ჩვენი არსებობის კურსი როგორი იქნება? ან, იქნებ, ფიქრობთ, რომ გადაშენების პირას ვართ, როგორც ბევრი სხვა ერი? თქვენი საოცნებო ქვეყანა როგორი გინდათ იყოს? რომელი პოლიტიკური პარტია შეგვინარჩუნებს ქვეყანას, ან რომელი მათგანი მოგვიტანს ეროვნულ მუხტს?**

**წინასწარ უღრმესი მადლობა.**

**მონიკა ჭანტურია**

# პასუხად ქალბატონ მონიკა ჭანტურიას



**ქალბატონო მონიკა!** უპირველეს ყოვლისა, ვამაყობ იმით, რომ ერთად ვმუშაობთ და კოლეგები ვართ გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციაში. ვამაყობ იმითაც, რომ მთელ რესპუბლიკაში ერთ-ერთი წარჩინებული პედაგოგი ბრძანდებით. ხართ მაღალი დონის ლიტერატორი, წერთ ლექსებს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით მხოლოდ ერთი მცირე ფორმატის პოეტური კრებულის ავტორი ბრძანდებით (რომელიც სიურპრიზად გამოგიცათ მეუღლემ). გაქვთ დიდებული ოჯახი, ხართ სამი შვილის ღირსეული დედა...

ერთი სიტყვით „ყოველმხრივ შემკული“ ჩემი ინტელექტუალი კოლეგა ინტელექტუალურ საუბარს მთავაზობს საჯაროდ, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. ეს ჩემთვის **სიურპრიზია და, ამავე დროს, ჩემი დიდი დაფასებაც!** 39 წელია, ბორჯომელი ვარ და სულ ინტელექტუალური საუბრები მენატრება ვილაცასთან. მართალია, ჩემი წერილებით ჩვენს მკითხველებს ვესაუბრები და მრავალი ინტელექტუალიც გვყავს, მაგრამ ეს მაინც ცალმხრივი საუბარია. ჩემი წერილების პოლიტიკურ, პედაგოგიურ-ზნეობრივ საკითხებზე გამოხმაურებაც ბევრი მაქვს, ძირითადად მოწონება (რესპუბლიკის მასშტაბითაც, რადგან „საქართველოს რესპუბლიკაში“ ვიბეჭდები), მაგრამ ეს ხდება ტელეფონით, ან პირად ხანმოკლე საუბრებში. 5-10 წუთიანი საუბრებიც მაქვს ხოლმე ჩვენს რედაქტორთან, მყავს კიდევ რამდენიმე ინტელექტუალი მეგობარიც, მაგრამ ეს საუბრები, როგორც ვთქვი, ხანმოკლეა. მინატრია, ჩვენს ქალაქში სადმე იყოს სადისკუსიო კლუბი-მეთქი, მაგრამ არ არის. დაე, ამიერიდან ჩვენი გაზეთის ფურცლები იყოს ინტელექტუალური საუბრების, დიალოგის, კამათის ასპარეზი!

მივყვეთ კითხვებს. თქვენ ჩამოთვალეთ ჩემი ხატივით საფიცარი მწერლები (პოეტები) და მათი პატრიოტული თემატიკით და იდეით გაჟღენთილი ნაწარმოებები. კარგი იყო, მათ შორის დაგესახელებინათ ვაჟას **„სტუმარ-მასპინძელიც“,** რომელიც „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად ჩემი ყველაზე საყვარელი ნაწარმოებია. დაკვირვებული მკითხველი შეამჩნევს, რომ ჯოყოლაც, ზვიადაურიც და აღაზაც პატრიოტი ადამიანები არიან.

ერთი სიტყვით როგორ გითხრათ, თუ „როგორი სულისკვეთებით“ ვუხსნიდი მოსწავლეებს ზემოთდასახელებულ ნაწარმოებებს? მაინც გეტყვით: **ზეაღმატებული ქართულ-პატრიოტული სულისკვეთებით!** ეს სულისკვეთება სწორედ ამ ნაწარმოებებმა (პოეტებმა) მასწავლეს და გვასწავლეს! ბავშვებს აუცილებლად ზეპირად ვეუბნებოდი რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“-ს, ცალკეულ სტროფებს, რომ სწორედ რაფიელ ერისთავის ხალხურ კილოზე და პატრიოტული თემატიკით დაწერილმა ლექსებმა გააბედინა ვაჟა-ფშაველას უფრო გაბედულად შემოსულიყო ქართულ მწერლობაში და ფშაურ კილოზეც ეწერა. ვეუბნებოდი ერთ ხალხურ სტროფსაც. როცა სოფელ არხოტში ხევსურებს მტერი დაეცა და ხევსური მამაკაცები „გატყდომას“ აპირებდნენ, მაშინ ერთი ხევსური დედა წამოიმართა (როგორც სიმონ ჩიქოვანის „ქართვლის დედა“) და ხევსურებს შეუძახა:

**„არ გასტყდეთ, არხოტიონნო,**
**გატეხით რა იქნებისა;**
**ვინაც რო მაკვდა,**
**დავმარხოთ,**
**კიდევაც გაიზრდებისა!“**

ხევსურები გონს მოეგნენ და მტერი უკუაქციეს.

ვაჟა-ფშაველას სოფელ ჩარგლის რვაწლიან სკოლაში როცა ვასწავლიდი, ჩემი მოსწავლეები „სტუმარ-მასპინძელს“ დგამდნენ. მე-7, მე-8 კლასის მოსწავლეებს ძალზე უხდებოდათ ჩოხა, ფაფახი და ამ პოემის მათ მიერ გაცოცხლებული სცენები. ისინი ზეპირად ამბობდნენ პოემის მთელ რიგ პასაჟებს.

ერთნაირი სიძლიერით მიყვარს როგორც აკაკი წერეთლის მოთხრობა „ბაში-აჩუკი“, ასევე მის მიხედვით შექმნილი ფილმი. ამას ვერ ვიტყვი „ხევისბერ გოჩაზე“ და ამ მოთხრობის მიხედვით გადაღებულ ფილმზე. ფილმი ახლოსაც ვერ მიდის მოთხრობის მხატვრულ ღირებულებებთან.

ექვსი წელი ვსწავლობდი დუშეთის სკოლა-ინტერნატში. ღარიბი და ობოლი ბავშვებისათვის მაშინ საქართველოში 65 ასეთი სკოლა-ინტერნატი იყო. ყველა საგანში შესანიშნავი მასწავლებლები გვყავდნენ. პედაგოგების დახმარებით კლასგარეშე წრეში გავარჩიეთ **„ხევისბერი გოჩა“.** მახსოვს, ამ გარჩევას დაესწრო სკოლა-ინტერნატის დირექტორი, თვითონ უძლიერესი ფილოლოგი - ოლღა (ოლია) ბურდული. მან ასეთი კითხვა დაგვისვა: „სწორედ მოიქცა თუ არა ხევისბერი, რომ შვილი მოკლა?“ ზოგი „დიახ“-ს ვეუბნებოდით, ზოგი - „არას“! მან დასკვნის სახით გვითხრა: „რასაკვირველია, სწორად მოიქცა! სამშობლოს მოღალატე სიკვდილის ღირსია!“ მაშინაც და ახლაც ძალზე მეცოდებოდა ონისე. მიმაჩნია, რომ დირექტორმა მკაცრი დასკვნა გააკეთა, მაგრამ სამშობლო მაინც უპირველესია! ასეთი სიმკაცრე ხშირად აუცილებელია საზოგადოების სიჯანსაღისათვის.

„მგზავრის წერილებთან“ დაკავშირებით ერთი ეპიზოდი მახსენდება ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან. ლელთ ღუნიას პატრიოტული დევიზი ყველამ ვიცით: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“. ეი. მოხევე რუსების შემოსვლას აკრიტიკებდა და თავისუფალ საქართველოს მინატროდა. ამ მოთხრობის დაწერიდან გადის 25 თუ 35 წელი და ილია მთელ ხევსურეთში სიბრძნით და სიდინჯით განთქმულ ერთ ხევსურს გამოელაპარაკა, რომელიც ხევსურეთიდან თბილისში ჩამოსულიყო. დაახლოებით ასეთი კითხვები დაუსვა: მოსწონდა თუ არა რუსების ხელისუფლება საქართველოში? **ხევსურმა უპასუხა: ძლივს დავისვენეთ, გარეშე მტერი (ქისტები, ლეკები) აღარ გვესხმის თავსო“.** დიდი ილია გაოცებული დარჩა! მას ეგონა, რომ მოხევისნაირ პასუხს მიიღებდა! ამ თემას გავშლი, როცა საბჭოთა კავშირისადმი „სიმპათიაზე“ ვილაპარაკებ.

**უშანგი ჯანგირაშვილი.**

**(გაგრძელება იქნება)**

## გაზაფხულის მარადიულ დღესასწაულს გილოცავთ ძვირფასო ქალბატონებო!

# პაციენტების სიყვარულით სავსე თვალები მამხნევებს

**ქალბატონს, როდესაც გაქვს პროფესიონალი ექიმის, ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგის სტატუსი და წლებია მოიპოვე საზოგადოების უდიდესი ნდობა და სიყვარული. მისთვის მთავარ ღირებულებას კი ადამიანი წარმოადგენს, უკვე ნათლად ჩანს პიროვნული და ქალური სიძლიერე. ნუნუ თოდრიას საზოგადოება კარგად იცნობს, იგი ადამიანების იმედად იქცა.**



– პაციენტების სიყვარულით სავსე თვალები მამხნევებს. მათი გამარჯობა, სითბო, მოფერება ამაღელვებელია ჩემთვის. თქვენ, მე გადამარჩინეთ, დამეხმარეთ, როდესაც გეუბნებიან ეს ძალების რწმენას მმატებს.

დედაც ექთანია და იცის, რას ნიშნავს ადამიანის ჯანმრთელობის სადარაჯოზე ყოფნა. შვილიც გიორგი ერთ-ერთ ცხელ წერტილში მუშაობს და არის გადაუდებელი მედიცინის სპეციალისტი, ბევრჯერ მძიმე პაციენტი გადაუყვანია და დახმარება აღმოუჩენია. მათ იციან, რას ნიშნავს ადამიანის სიცოცხლე იყოს შენზე დამოკიდებული. არანაკლებად მამხნევებენ დანარჩენი ოჯახის წევრები მიქმნიან იმ თბილ გარემოს და ურთიერთობებს, რაც მძიმე დღის ბოლოს ენერგიის აღდგენის შესაძლებლობებს მაძლევს.

ყველაზე რთული დღე ექიმი ნუნუ თოდრიასთვის სიცოცხლესთან შეუთავსებელი ტრამვული დაზიანებებით შემოყვანილი ახალგაზრდა იყო.

– ვეცადე, ყველაფერი გავაკეთე, მაგრამ მდგომარეობიდან ვერ გამოვიდა. ურთულესია, სასოწარკვეთილებაა, როდესაც იბრძვი და მაინც მარცხდები.

ექიმის ცხოვრება მარტივი არაა, რთულ გზებს გადიხარ. თითოეული ადამიანი არის ინდივიდი და მას არასოდეს შაბლონი არ ერგება, რაც არ უნდა გამოცდილი, რაც არ უნდა ერუდირებული იყო ექიმი, თითოეულ პაციენტთან თავიდან გიწევს შეფასების გაკეთება, დასკვნის გამოტანა, ბრძოლის მეთოდის შერჩევა მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში. დღეს უფრო მეტად ვჭირდებით პაციენტს, ახლა კიდევ უფრო მეტად გუნდდურები გავხდით. ერთმანეთის გვერდით დავდექით.

განსაკუთრებით ბოლო ორი წლის მანძილზე იყო რუტინული შრომა, დაუღალავი, თავდაუზოგავი ბრძოლა კოვიდის წინააღმდეგ. გვყავდა უამრავი პაციენტი, მათ შორის ძალიან ბევრი გამოჯანმრთელებული, სახლში ბედნიერად დაბრუნებული, მაგრამ სამწუხაროდ, დანაკარგიც მრავლად იყო ამ ბრძოლის ველზე. გვქონდა ბევრი სიხარული და გულისწყვეტაც. თავიდან გაუცნობიერებელი შიშით სავსე დღეები. სწავლა, სწავლა და სწავლა, გამოცდილების დაგროვება, შემდეგ მისი გამოყენება. საერთოდ შეიცვალა დღის განრიგი და აღარ დარჩა თავისუფალი დრო, მხოლოდ გარკვეული საათები დასვენებისთვის და ისევ მზადება პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლისთვის.

● **ბედნიერი დღე?** ბედნიერი დღე იყო 87 წლის ბებოს ნიღბის გარეშე დანახული თვალები. ქალბატონი უმძიმესი ფილტვის დაზიანებით გახლდათ, როცა გადაწურული გვქონდა იმედი, რომ ვერ მოვერეოდით და დამარცხებას განვიცდიდით. ბებომ დაჯდომა შეძლო, საუბარი დაიწყო. დღესაც გვირეკავს, გვკითხულობს ჩვენი ნათელა ბებო, რომელთანაც ერთად 23-ქულიანი კოვიდი დავამარცხეთ. მას არც ერთი წუთით არ დაუკარგავს იმედი, რომ კარგად იქნებოდა.

საერთოდ, რეამინაცია ისეთი ადგილია, რომელსაც ადამიანები ცდილობენ ამოშალონ მეხსიერებიდან. დიახ, ეს ცხოვრების ყველაზე მძიმე პერიოდია.

საუბრის ბოლოს რესპოდენტისგან მაინტერესებდა კითხვაზე პასუხი, **თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ქალი ძლიერ პიროვნებად?!**

– პირველ რიგში ქალი განათლებული უნდა იყოს, ჰქონდეს პროფესია, რომლითაც უზრუნველყოფს საკუთარ მომავალს.

ქალი ჩემს წარმოსახვაში პირველ რიგში არის დედა. განათლება, პროფესია, კარიერული წინსვლაც, ყველაფერი მეორეხარისხოვანია, პირველი არის ოჯახი, შვილი, რომლის მომავლის შექმნისთვისაც გჭირდება საკუთარი თავის რეალიზება.

ბორჯომელებისადმი მისი გზავნილი კი ასეთია – მოვუფრთხილდეთ ერთმანეთს და ჩვენს ქალაქს. ჯანმრთელობასა და ერთმანეთის იმედს გისურვებთ.

მე თავისებურად მიყვარს, ჩემი ქალაქი, სწორედ ამიტომ დავბრუნდი უნივერსიტეტის შემდეგ მშობლიურ ქუჩებს.

**P.S. მადლიერმა ბორჯომელებმა ქალბატონი ნუნუ თოდრია მშობლიური ქალაქის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.**

**დედისა და ქალთა დღესასწაულებს გილოცავთ!**

**იზა იანვარაშვილი**

---

**მასალა მომზადებულია „სამხრეთის კარიბჭის“ მიერ**

# მერი ქადაშვილი – 9 შვილის დედა ბორჯომიდან

**35 წლის მერი ქადაშვილმა და მისმა მეუღლემ, პაატა დათიაშვილმა ოჯახი 13 წლის წინ შექმნეს. ახლა მათ 9 შვილი ჰყავთ: გიორგი, გაბრიელი, ერეკლე, დემეტრე, დანიელი, ანა, ნიკოლოზი, შიო და 10 დღის ნენე.**



– როდესაც დავოჯახდი, 22 წლის ვიყავი, ვერც ვიფიქრებდი, რომ ცხრა შვილი მეყოლებოდა. რთული ნამდვილად არ არის, მაგრამ როცა ბევრი შვილი გყავს, უფრო მეტი პასუხისმგებლობაა. გათხოვებამდე განსაკუთრებული ოცნებები არ მქონია, ცხოვრების დინებას მივყვებოდი, ახლა მინდა ჩემი შვილები კარგ ადამიანებად აღვზარდო, – ამბობს მერი.

დათიაშვილების ოჯახში ყველაზე პატრა 10 დღის ნენეა, უფროსი კი 12 წლის გიორგი, შემდეგია 11 წლის გაბრიელი, 10 წლის ერეკლე, 8 წლის დემეტრე, 5 წლის დანიელი, 4 წლის ანა, 2 წლის ნიკოლიზი და 1 წლის შიო.

დათიაშვილების დღე, დილის 7 საათზე იწყება. პირველ რიგში დედა სკოლის მოსწავლეებს ამზადებს, შემდეგ პატარებს. როგორც მერი გვიყვება, უფროსები პატარებს მოწესრიგებაში ეხმარებიან, შესაბამისად ოჯახში ყველა ერთმანეთზე ზრუნავს.

– 07 საათზე ვიღვიძებთ და 01 საათზე ვიძინებთ. ჩვეულებრივი ოჯახური რუტინა გვაქვს. ყველა ერთმანეთს ვეხმარებით და ამით აღარ მირთულდება 9 შვილის დედობა, – გვითხრა მერიმ.

ამბობს, რომ მიუხედავად მრავალშვილიანობისა, დრო თავის მოვლისთვისაც რჩება.

– ხანდახან მე და ჩემი მეუღლეც ვიპარებით, ხოლმე ბავშვების გარეშე, აი ახლაც გამოსულები ვართ სახლიდან და პატარები ბებოებთან არიან, – ამბობს იგი.

ფიზიკურ შრომასთან ერთად მერის ბევრი საფიქრალიც აქვს, მერი ამბობს, შვილებს ჩაცმასა და კვებასთან ერთად, აღზრდაც ჭირდება.

– იმდენი ცუდი ხდება ქვეყნაზე, ბევრი ცდუნებაა, ძნელია შვილები კარგად აღზარდო, ბევრი შვილის ყოლაც დიდი პასუხისმგებლობაა. სულ ვფიქრობ, რამე არ შეეშალოთ, რამე არ დაემართოთ და ა.შ, – თქვა მან.

მიუხედავად ბევრი პრობლემური საკითხისა, წუხს, რომ ახალგაზრდა მშობლები ბევრი შვილის გაჩენისგან თავს იკავებენ.

– უფრო მეტად მატერიალურ საკითხებს აქცევენ ყურადღებას, ჩემი აზრით, მთავარი სურვილია. მაგალითად, მე და ჩემი მეუღლე რომ დავოჯახდით, ერთოთახიან ბინაში ვცხოვრობდით, ახლა კი ღვთისწყალობით ბევრად კარგად ვართ. ყველა ბავშვს, ყველა ეტაპზე თავისი საჩუქარი მოაქვს. ამიტომ მინდა ვუთხრა ყველა ქალს და დედას, არ შეეშინდეთ ბევრი შვილის გაჩენის.

როგორც თავად ამბობს, კარგი იქნება, თუ ხელისუფლება მრავალშვილიან მშობლებს დასაქმებაში დაეხმარება.

– ადგილობრივი მუნიციპალიტეტი ნამდვილად ბევრს აკეთებს, ცენტრალური ხელისუფლებიდანაც არის რაღაცები, მაგრამ კარგი იქნება, თუ გაითვალისწინებს სახელმწიფო და მშობლებს დაგვასაქმებს. მაგალითად, ჩვენთან ბორჯომში, ძალიან ბევრი მრავალშვილიანი დედაა, დასაქმებულები არ არიან, უჭირთ შვილების რჩენა, – ამბობს იგი.

ახლა მისი მთავრი ოცნება შვილების მომავალს უკავშირდება – მინდა კარგად აღვზარდო შვილები. ჩემი შვილებია ჩემი მთავრი მიზნები და ფიქრები, – თქვა მან.

**ნუკა სტეფნაძე**

---

# საყოფაცხოვრებო მაღაზიის დიასახლისი

**ბორჯომი** დიდად არ გამოირჩევა ტანსაცმელის და სხვა საჭირო ნივთების მაღაზიების მრავალფეროვნებით, ამიტომ ნებისმიერი ახალი წარმატება მცირე ბიზნესის კუთხით, ყველასთვის სასიხარულო ფაქტია. უკვე თორმეტ წელს ითვლის ბორჯომელი **მარეხ ლომიძის** გამოცდილება სავაჭრო ბიზნესის კუთხით. თავიდან ეს მინიმალურ ფართში – საკუთარ ავტოფარეხში დაიწყო, მაგრამ წლების შემდეგ რეალურად აიხდინა ოცნება. ბორჯომელ მომხმარებლებს უკვე სახელდარქმეული მაღაზია მოემსახურებათ რუსთაველის №67-ში, №6 სკოლის მიმდებარედ. „ჰოუმი“ ქართულად სახლს ნიშნავს და მაღაზიის ბანერზე დატანილი დიზაინი, არაერთგვაროვანი ნივთები მართლაც იმის არჩევანს გვაძლევს, რომ შეხვიდე და დაათვალიერო, ხელდამშვენებულიც გამოხვიდე სხვადასხვანაირი საყოფაცხოვრებო ნივთით. აქ თვალს მოგწყვიტავთ გემოვნებიანად არჩეულ-ჩამოტანილი ჭურჭელი ჭიქიანთეფშიანად, სახილე-ტოლჩიანად. დიასახლისებისთვის დიდი საცდურია, რადგან ფარდები, საბან-თეთრეულის, პირსახოცგადასაფარებლების მრავალფერიანობა უკვე ადგილზეა. მომხიბლავ ხელჩანთებსა და ჭაღებსაც კი გამოძებნით აქ. ფეხსაცმელ-ტანსაცმლის შერჩევაც ყველასთვის მისაღებ ფასებში ახალი ამბავი არ არის, თან როგორც ხდება ხოლმე, პატარა ქალაქებში – მარეხი აცდის მყიდველს დათქმულ დრომდე და ამისთვის უკვე მზად არის ახალგახსნილი დიდი რვეულიც. ალბათ, იკითხავთ, ასე აწყობილად რომ გაგიხარდებათ, როცა გაიგებთ, ამ ყველაფრის უკან ოჯახური იდილია, ოჯახის წევრების არნახული თანადგომა დგას. ერთად შრომობენ დიდიან-პატარიანად და ინაწილებენ ფუნქციებს – პროდუქციის გადაზიდვას, დახარისხებასა და დალაგებას. მეუღლე და სამივე შვილი ჩართულია მორალურად, თუ ფიზიკურად მარეხის წარმატებულ სამსახურში. გუნდურად, ასე შეკრულად იქმნებოდეს წინსვლა და გამართლება მცირე ბიზნესში – არც ისე ხშირი შემთხვევაა.




**მარეხ ლომიძე-გელაშვილი, მცირე მეწარმე-ვაჭრობა** 2009 წელს დავიწყე, რადგან ახალი სახლი მქონდა და საყოფაცხოვრებოდ ბევრი რამ მჭირდებოდა. პირველად საკუთარი საჭიროებისთვის წავედი ლილოს ბაზრობაზე, შემდეგ მოვაყოლე რამდენიმე ზედმეტიც და გავყიდე. სახლში უკვე რომ ვერ დაეტეოდა ამდენი პროდუქცია, გადავინაცვლე ავტოფარეხში. ეს ფართი კი, უფლის ნებით, საკუთარია და მინდოდა პომპეზურად გამეხსნა, ლამაზად. ასეც გამოვიდა, მოდიან, მილოცავენ, მამხნევებენ, სხვადასხვა ადგილას უკვე „ჰოუმის“ ფილიალებსაც კი მისურვებენ, რაც მომავლის და იღბალის ამბავია. გვერდით მყავს მეუღლე და შვილები, რომლებიც დღედაღამ მეხმარებიან, ერთად მივდივართ და მოზღვავებულ საქმეს ერთად ვაკეთებთ. გულს მიხარებს მათი მხარდაჭერა, მარტო ვერაფერს შევძლებდი. დილის ცხრიდან საღამოს რვამდე მაღაზიაში ვართ.

**მონიკა ქანტურია**

---

# როგორ მიყვარს როცა მოდის მარტი

**როგორ მიყვარს როცა მოდის მარტი,**
**გაზაფხულის არეული თვეა.**
**ხან გიჟია ხანდახან კი წყნარი,**
**და ჩემსავით სიყვარულის ტყვეა.**

**მეც მას ვგავარ, არეული აზრით,**
**მოგონებებს ყოველ წამში იცვლის.**
**ქარი მასში გრძნობასავით დაქრის,**
**ხან მზეს კოცნის ხან ცრემლია წვიმის.**

**თან ხალისით გადაურბენს დღეებს,**
**ყველაფერში მორჩილებას ითხოვს.**
**ის ჩემსავით თითქოს მარტო ვერ ძლებს,**
**და გაქცევას ყველა თვესთან ცდილობს.**

**მაგრამ მერე, ღამის დრო რომ დგება,**
**ის სიგიჟეს, სევდის სახლთან ტოვებს.**
**ყველაფერი, დროს რომ მიაქვს, ხვდება,**
**სულ მარტო სურს თავთან განმარტოვდეს.**

**როგორ მიყვარს როცა მოდის მარტი,**
**გაზაფხულის არეული თვეა.**
**ხან გიჟია ხანდახან კი წყნარი,**
**და ჩემსავით სიყვარულის ტყვეა.**

**გიორგი ჩომახიძე**

---

# რჩევები ქალბატონებს!

**...ზოგჯერ ძალიან კარგია, თუ ღამით არეულ ოთახს ხელუხლებელს დატოვებთ...**

**მერე რა მოხდა, ეყაროს იატაკზე ბავშვის სათამაშოები... შენი საყვარელი ადამიანის სუნით გაჟღენთილი პერანგი...**

**ყავის ორი ფინჯანი...**

**ფერადი ფანქრები...**

**დათხუპნული თოჯინები...**

**და, როცა დილით ოთახში შეხვალ, უსათუოდ გაგახარებს გუშინდელი სიხარული და ბედნიერება, რომელიც ყირაზე იდგა შენს თბილ კედლებში და რომელმაც ასე ყირაზე დაგიყენა ყველაფერი...**

**და შენი ახალი დღე დაიწყება გუშინდელი ბედნიერების შეგრძნებით...**

**ყოველთვის ნუ გადაწმინდავთ მტვერს, იქ სადაც შენი საყვარელი ადამიანების ნათითურებია...**

**დაე, ხანდახან დატოვეთ ხელუხლებლად სიხარულით და ბედნიერებით არეული სახლი...**

**ნანა მეფარიშვილი**

# მტრის არმცნობი ნუ გავხდებით!

**სიტყვა უნდა** დაიწეროს აქ და ახლა! რა თქმა უნდა, სამწუხაროა, რომ ისევ ომზე მიწევს წერა. ალბათ, ძნელია წარმოიდგინო ის, რაც არ გინახავს, რაც არ გამოგიცდია. 24 თებერვალს უკრაინაში ჩემთვის იგივე ომი დაიწყო, რაც 28 წლის წინ აფხაზეთში. იგივე შეგრძნება გაქცევის შიში და ძნელია სხვა რამეზე იფიქრო. თქვენ, ვისაც არ გაგიგონიათ ტყვიების ზუზუნი, ვისაც არ გინახავთ სახლის კართად აყუდებული გრძელცხვირა ტანკები, ვინც არ გადარჩენილხართ ტყვიმფრქვევს სარდაფში - ვერ გაიგებთ, რა ბედენაა ეს ომი! ეს სოციალური ქსელები და იქ მოთავსებული აზრები ჩვენივე მოქალაქეების პირდაპირი ლუსტრაციაა - რა გზას ვადგავართ და რა შეხედულებებს ვუჭერთ მხარს. ახლა ვინმე თუ მეტყვის ამ ბოროტების მანქანას - რუსეთს) - თავისი არაადამიანური ლიდერით (სახელის ხსენებაც მზარავს) რაიმე სიკეთის მოტანა შეუძლია საქართველოსთვის, ალბათ ჭკუათმყოფელობასთან ძალიან შორს უნდა იყოს იგი. ომი და არეულობა არავის უნდა - ამაში ვთანხმდებით, მაგრამ ეს აუცილებლად ნიშნავს ჩვენს გაჩუმებას, ბუჩქებში გაყუჩებას და სახელმწიფოებრივი პოზიციების უგულებელყოფას? დიახ, მე - ისედაც ომგამოვლილი, აწიოკებული, აფეთქებულ თვითმფრინავებ ნანახი ვიტყვი, რომ რაც ჩვენი საომარია, მაგას სხვა ვერ გააკეთებს! უკრაინაში შეჭრამ, ტაძრებისა და უნივერსიტეტების დაბომბვამ, შეშინებული ბავშვების თვალებმა კიდევ ერთხელ გამიმყარა აზრი იმაზე, რომ მშვიდობიანდ რუსეთის „ვერგამძღარი" იმპერია არასდროს მოგართმევს დაკარგულ, მიტაცებულ ტერიტორიებს! იცით რატომ? მისთვის ქვეყნის საზღვარი არ არსებობს! ომი რად გვინდა, როცა ისედაც „მოცოცავენ" თვალხილულად პეტია, პავლე, ივანე... აგერ გორის მისადგომებთან. მტერს ჩაფიქრებული აქვს საბჭოთა კავშირის აღდგენა და თუ დღეს გადაუარა უკრაინას, ხვალ მოგვადგება ჩვენ - იმ ქვეყნებს, ვინც ადრე თუ გვიან, მისი „პატარა სამშობლოები" გავხდებით. ასეთი აზრიც გაისმა: თუ ნეიტრალიტეტს შევინარჩუნებთ და ნატოსა და ამერიკას უარს ვეტყვით თანამშრომლობაზე, რუსეთი შეგვეშვება და თავზე ხელს გადაგვისმევს. ამ დამოკიდებულებამ თუ ფეხი მოიკიდა საზოგადოებაში, ნიშნავს, რომ უარს ვამბობთ განვითარებაზე, ვეთანხმებით გუბერნიად გახდომას. ამ აზრის მატარებელნი უკვე აღარ იქნებიან, ხოლო მომავალი თაობა - ჩვენი შვილების თავშისახლელი გახდება ქვეყნის გამოხსნა, შენარჩუნებაც და დაცვაც! რუსეთის ერთმორწმუნეობა იქ დამთავრდა, სადაც ჩაცხრილეს უდანაშაულო ბავშვები ონკოლოგიურ საავადმყოფოში. ამბობენ, მიმდინარეობს მსოფლიოს ახლებური გადანაწილება და ამისთვის ორი დიდი სახელმწიფო ვერ თმობს ერთმანეთში ძალაუფლებას, მაგრამ ამ დროს ჩვენნაირი უმწეო, უსუსური, სტრატეგიულად მნიშვნელოვან გეოგრაფიულ ადგილას მყოფმა ქვეყანამ რა ქნას?

ვინ გაცდის, იყო სუვერენული და დამოუკიდებელი? დაცულად რომ იგრძნო თავი, ამის გარანტად არის შექმნილი „ევროკავშირი" და „ნატო", თუმცა არც იქ გვიღებენ ადვილად კარს. ქართველი ხალხის სოლიდარობა არაერთხელ გამოუცდია ყველას, რამდენად მიმტევებლები და კეთილი მასპინძლები ვართ „სტუმრისა", მაგრამ ახლა რომ აქტუალური საუბარია რუსეთიდან „აყრილი" ხალხის შეფარებაზე - აქ კვეთავს წითელ ხაზს ყველაფერი! ჰუმანურობას ნურავინ გვასწავლის და არც იმას - ყველა პუტინი ხომ არაა, მათშიც არის კარგი - ეს კიდევ ერთხელ არასახელმწიფოებრივი პოზიცია იქნება. დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი. მაამებლური და მტრის არმცნობი ერი ნუ გავხდებით!

**მონიკა ქანტურია**

წირვა ბომბსაცავში



# "სოფელში მინი მოედანი მოეწყობა




**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის სოფელ საკირეში ახალგაზრდები მალე კომბინირებული, ხელოვნურსაფარიანი ახალი მინი სპორტული მოედნით ისარგებლებენ.

მოედანზე დაიგება მწვანე ხელოვნური საფარი, მოეწყობა ფეხბურთის კარი, კალათბურთის ფარი, განათება და შეიმოილობება ლითონის კონსტრუქციით.

სოფელში მინი მოედნის მოწყობა ადგილობრივი ახალგაზრდების თხოვნით დავგეგმეთ. მათი ჩართულობა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის საქმეში უმნიშვნელოვანესია. მსგავსი მინი მოედანი სხვადასხვა სოფლებშიც მოეწყო. პროცესი მომავალ, 2023 წელსაც გაგრძელდება, - აღნიშნა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა.**

მინი სტადიონის მოსაწყობად ადგილობრივ ბიუჯეტში 194824 ლარია გათვალისწინებული.

### სატირა
# ფეისბუქის შემქმნელს

**ამ ფეისბუქის შემქმნელსა**
**მსურს დავუნგრიო ყბებიო,**
**სულ სათითაოდ „ვუხსენო"**
**ვინცა ჰყავს კეთილებიო.**
**რაც ჟინი ჰქონდა ხალხისა,**
**გულიდან გადაიყარა,**
**ახალგაზრდა თუ მოხუცი**
**ჭკუაზე გადაიყვანა.**
**ოჯახში საქმეს რომ მოვცდი,**
**„ხიპიში" იქით ავტეხე,**
**ინფორმაციის ძებნაში**
**სამი სათვალე გავტეხე.**
**სულ ნაცარტუტად ვაქციე,**
**ცეცხლზე რაც დავდგი ქვაბები,**
**ძაღლებმაც აღარ შეჭამეს**
**ნახშირქცეული საჭმელი.**
**ვიცი, ჩემ დღეში ბევრია,**
**ფეისბუქით რომ ცდებაო,**
**სიმწრით ნაყიდი პროდუქტი**
**გადასაყრელი ხდებაო,**
**რაც კი შეკითხვა დამისვეს,**
**პასუხიც ველარ გავეცი,**
**სარეც მანქანას ვაჩუქე,**
**შიგნით შეყრილი სარეცხი.**
**რაც არ ვიცოდი ბინძური,**
**სიტყვები ახლა გავიგე,**
**ყვლა უხამსი გინება**
**ფეისბუქიდან ვისწავლე.**
**ხალხი რამ გააბოროტა?**
**ვფიქრობ და ველარ ვხვდებიო,**
**ხელში უჭირავთ სხვებისთვის**
**ჩასაქოლავი ქვებიო.**
**წიგნსა და პრესას ნეტავი**
**ვინმე თუ იღებს ხელშიო?**
**ახალ თაობას ვგულისხმობ,**
**რომ არ დატოვონ ბნელშიო.**
**პენსიის გადანაზოგი**
**ინტერნეტს მიაქვს წუთშიო,**
**მგონი სულ გამოვთაყვანდი,**
**მე აღარ მრჩება გროშიო.**
**მხოლოდ ერთი რამ მეამა**
**და სასარგებლოდ ჩავთვალე,**
**ნაცნობ-უცნობი ჩემს გუგლზე**
**მეგობრები რომ დავთვალე.**
**თავი რომ გადავირჩინოთ,**
**რამე ახალი გათვალონ,**
**ასაკიანი ხალხისთვის**
**ფეისბუქი რომ აკრძალონ.**

**იზო სარქისიანი,**
**სოფ. ცემი..**

# გიორგის თანადგომა უკრაინის მოქალაქისადმი

– **მეგობრებო,** ბორჯომში აქციაზე უკრაინელი ბიჭი - საშა გავიცანი, რომელსაც ომის გამო საქართველოში მოუწია გაჩერება. რამდენიმე წუთის წინ მომწერა და ძალიან გამეხარდა. გთხოვთ, არ გაატაროთ ეს პოსტი



და რასაც შევძლებთ მოვუგროვოთ საშას და დავეხმაროთ. გარდა ამ 120 ლარისა, ჯიბის ფულად და სხვა საჭიროებებში დასჭირდება თანხა. ხვალ თბილისში მიემგზავრება დილით.

ვისაც, რამდენი ლარის საშუალება გვექნება, ჩემს ანგარიშის ნომერს დავწერ.

გვიან საღამოს გადავცემ, რამდენსაც მოვუგროვებთ.

აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია გიორგი ოგანესიანმა (ჩილინამ) განათავსა სოციალურ ქსელში, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა ბოჯომელთა მხრიდან. გიორგი მალევე წერდა, რომ:

- 120 ლარზე ბევრად მეტი გვაქვს უკვე! 1 წუთში ზუსტად. ძალიან მიყვარხართ და მეიმედებით. საღამოს დამელოდეთ უთბილესი ვიდეოთი.

საშასთან შეხვედრის ვიდეორგოლს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. საზოგადოება წერდა და სრულ მხარდაჭერას უცხადებდს უკრაინას.

სამი საათის განმავლობაში გიორგის ანგარიშზე 1000 ლარზე მეტი შეგროვდა.

- მინდა გაგაცნოთ Sasha Dvhpl ჩემი თხოვნაა დამეგობრდეთ მასთან!

მეგობრებო, მოკლედ, შეუძლებელია იმ ემოციების გაზიარება, რაც მე და მაია ხუციშვილმა საშასგან მივიღეთ. შეუძლებელია ყველა მოგნიშნოთ, მაგრამ სათითაოდ ყველასთან მაქვს კომუნიკაცია.

ასე, ორივე ბანკის ანგარიშზე დაახლოებით 1200 ლარი შეგვიგროვდა. (ზუსტად 10-ჯერ მეტი, ვიდრე გვთხოვა) გუშინ 1000 ლარამდე პირადად გადავეცით საშას. ასევე, ვუყიდეთ მცირე (ქართული, სიმბოლური) საჩუქრები. დღეს დაახლოებით 100 ლარი დაგვემატა და ამასაც საბანკო გზავნილით მოვახვედრებთ საშასთან.

- ძალიან, ძალიან დიდი მადლობა დახმარებისთვის და უფლებისთვის, რომ მოგვეცით შანსი ერთი უკრაინელი, ძალიან კარგი მოქალაქე გაგვებედნიერებინა. მეგობრებო, მადლობა საშასგან, ჩვენ ეს შევძელით ყველა ჩვენგანის ვალია სიკეთის კეთება. ყველას, ყველას დაგბრუნებოდეთ ეს სიკეთე, ერთი - ათასად. მიყვარხართ.

**იზა იანვარაშვილი**

# შინდისის გმირები გვმოძღვრავენ...

სოფელ შინდისის მაცხოვრებლები ჰყვებიან:

- ასეთი რამ ფილმებშიც არ გვინახავს, ჩვიდმეტიდან ერთადერთი საღ-სალამათი ჯარისკაცი, რომელსაც შეუძლია გაქცევა, მუხლებზე დასვენებული დაჭრილი თანამებრძოლის თავს გულში იხუტებს, ჯიბიდან მობილურ ტელეფონს იღებს და სადღაც რეკავს..



- მიპასუხე, მამაო, ღმერთო, არ გადის ეს დალოცვილი ზარი - ისმის ტკივილით ნათქვამი სიტყვები. მერე მობილურს მოისვრის და დაჭრილ ბიჭებს გასძახებს, ჩემკენ მოიწიეთ, მტერს ცოცხალი არ უნდა ჩავბარდეთ, - ლიმონკა მაქვს და თავს ავიფეთქებთ. ეს თვითმკვლელობა არ იქნება.

მე ვილოცებ, თქვენ თუნდაც გულში გაიმეორეთო და... ბრძოლის ველზე ანგელოზის გალობასავით გაისმის „მამაო ჩვენო". ლოცვის დასრულების შემდეგ მცირე პაუზა იყო და უცებ ყველაფერი წამებში მოხდა, აფეთქებამ ანგელოზის ხმაც წაშალა და ისიც, ვისი ყელიდანაც ის ხმა ამოდიოდა.

აღარც ის დაჭრილი ჩანდა, მეგობრის მუხლებზე რომ ედო თავი. ჯარისკაცმა ალეკო ონიანმა თავი აიფეთქა და მასთან ერთად დაიღუპა გულში ჩახუტებული ნათლულიც - რომან ზოიძე. გამუდმებით ეხვეწებოდა ნათლული ნათლიას, ეს არ ქნა, წადი, მე მაინც არაფერი მეშველება და ჩემი სულისთვის ილოცეო. - არა - უპასუხა ალეკომ..

ალეკო მობილური ტელეფონით მოძღვართან დარეკვას ცდილობდა, სურდა, საკუთარი თავისა და თანამებრძოლების შენდობა ეთხოვა...

ასე გალობითა და ლოცვით გადავიდნენ იმიერ საქართველოში ეს ბიჭები, ჩვენ კი ვაჟკაცობის საოცარი მაგალითი დაგვიტოვეს..

შინდისელები იხსენებენ, რომ მოწინააღმდეგის ვაჟკაცობით გაოგნებულმა მტერმა, დახოცილების ნივთებს ხელი არ ახლო..

ახლა ეს ნივთები მემორიალის საკუთრებაა..

ერთ-ერთი გმირის, მიშიკო დვალიშ-

**„ჩვენ ვართ კაცები, არ ვართ ლაჩრები,**
**გულისკაცები და ვაჟკაცები..**
**ერთი ყუმბარა გვერდით**
**თან გვიდევს,**
**სიკვდილის შიში ვერ აგვატირებს.**
**ბევრი ვიყავით, ერთი სამარე,**
**თხილის გულივით გავინაწილეთ..**

**ის ლექსებს წერდა და სიგიჟემდე უყვარდა საქართველო..**

**„კვირის პალიტრა" 09.08.2010**



გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დარბაზის ერთ-ერთი დამფუძნებლის და გამგეობის წევრის, გვარის წინამძღოლთა „მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური დარბაზის" კოორდინატორის, ბურდულების გვარის წინამძღოლის, ყველასათვის საყვარელი, ღირსეული პიროვნების, შესანიშნავი მსახიობის ბატონ

**გუჯა ბურდულის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გუჯას ოჯახს, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიის მრავალრიცხოვანი მრევლი და წინამძღვარი მამა გერასიმე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ეკლესიის მრევლი

**ლილი ხაჩიძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ახლო მეზობლები: რამაზ ვარდიძე, ომარ კიკაძე, გია, გელა, ნიკა გელაშვილები, დათო ხაჩიძე, ნიკა ხაჩიძე, ლაშა ხაჩიძე, თამაზ ხაჩიძე, ირაკლი ხანცისი, ალეკო ხაჩიძე, ნანული ნოზაძე, რამაზ ჯიოშვილი თანაგრძნობას უცხადებენ მის შვილებს შორენა, ზურა, ეკა ხაჩიძეებს დედის

**ლილი ხაჩიძის**

გარდაცვალების გამო.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ.№2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში". ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ.№57.

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

ნომრის პასუხისმგებელი მორიგე: იზა იანვარაშვილი.

borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე